გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 21 დეკემბერი, 2005 წელი.

№295 (5328)

იმისთანა წმინდა ხალმეში, ტოგოტიც ბოჭდეული სიტყვაა, ტყუილებით და ჭოტებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. | ფასი 50 თეთრი.

ვალტიაშვილოს ისევ ამოვდგა

რაში და როგორ იხარჯება საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები?

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 2005 წელს გამოყოფილი საერთო თანხა 35 მილიონ 714 ათას 099 ლარს შეადგენს.

აქედან კონცერტებზე, ფესტივალებსა და სხვა სანახაობებზე 460 ათას 894 ლარი დაიხარჯა, პარლამენტარებისა და უცხო ქვეყნის მეთაურთა ვიზიტებზე კი – 2 მილიონ 385 ათას 354 ლარი.

იხ. მე-2 გვ.

ფრიადოსანი სპიკერი და შურიანი ოპოზიცია

– თქვენ დაემსგავსეთ ფრიადოსან მოსწავლეს, რომელიც წარჩინებით ასრულებს მთავრობის დავალებებს. თქვენს ადგილზე დავფიქრდებოდი, ვახერხებ თუ არა პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

იხ. მე-2 გვ.

სასამართლო პროკურატურის დაკრულზე ცეკვავს?

უზენაესი სასამართლო უკვე ათზე მეტმა პროფესიონალმა მოსამართლემ დაგოვა!

იხ. მე-2 გვ.

ⓘ ინფორმაცია

ილია მეორე აზერბაიჯანში გაემგზავრა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გუშინ აზერბაიჯანში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში კათოლიკოს-პატრიარქი მონაწილეობას მიიღებს გაქოში დაგეგმილ საზეიმო ღონისძიებებში, რომელიც კავკასიის მუსულმანთა სულიერი ლიდერის ალაჰ შუკურ პაშაზადეს 25-წლიან მოღვაწეობას ეძღვნება.

პატრიარქის ვიზიტი ერთდღიანია.

სკოლებს დამატებით 4 583 483 ლარი გადაერიცხებათ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, რომლებსაც ვაუჩერით დაფინანსება არ ყოფნით, 2005 წლის გოლომდე დამატებით 4 583 483 ლარი გადაერიცხებათ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განუცხადეს, 2005 წლის მეოთხე კვარტალში ვაუჩერული დაფინანსებისთვის გამოყოფილმა თანხამ სულ 12 916 517 ლარი შეადგინა.

2005 სასწავლო წელს ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ფინანსური პრობლემები შეეძლო ახალი საშტატო განრიგისა და ხელფასების გაანგარიშების ახალ წესზე გადასვლასთან დაკავშირებით. ალნიშნული პრობლემების აღმოსაფხვრელად, განათლების სამინისტრომ მოსოვნით მიმართა ფინანსთა სამინისტროს, გამოეყო დამატებითი თანხები, – აცხადებენ სამინისტროში.

ინტერპრესნიუსი

„შალვას მომკვლელი ვაქკაცი ჯერაც არ დაგადებულა“

იხ. მე-2 გვ.

მართლა ჩაცხრილეს თუ არა შალვა ნათელაშვილი

ⓘ მილოცვა

საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ მიხეილ სააკაშვილს

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების თანამშრომელთა სახელით გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს.

წინასაახალწლო დღეები გედნიერად დაგეგებდათ – უკვე ორი ვაჟკაცის მამა ბრძანდებით. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ყველა თქვენი დიდი მიზნის განხორციელებას საქართველოს საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

მესუთ ბოზაძირი,

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა და „ჩაღლარის“ სასწავლო დაწესებულებების სამეთვალყურეო საბჭოების თავმჯდომარე.

ⓘ პანორამა

ალმოაჩინეს მარსზე „ბიგლ-2“ დაპარული აპარატი: იგი დაიმსხვრა დარტყმების სერიის შედეგად. ევროპის კოსმოსური საგენტოს სპეციალისტებმა მარსის ზედაპირზე იპოვეს ეს აპარატი, რომელთანაც კავშირი გაწყდა 2003 წლის დეკემბრის დამლევს წითელ პლანეტაზე მისი დაჯდომის დროს. ევროპის კოსმოსური საგენტოს არაერთი ცდის მიუხედავად, აპარატთან კავშირის დამყარება ვერ მოხერხდა და მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ აპარატი განადგურდა დარტყმების სერიის შედეგად.

* * *

გუშინ დონეცკის ქიმიური რეაქტივების ქარხანაში ძლიერი აფეთქება მოხდა. მძიმედ დაშავდა ხუთი ადამიანი. ისინი ჰოსპიტალში მოთავსეს. წინასწარი მონაცემებით, გაუფრთხილებლობის გამო, საფანტის საწყობი აფეთქდა. შემთხვევის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდნენ ქალაქის ხელმძღვანელები და ოპერატიული მუშაკები. საფანტის საწყობში გაჩენილი ხანძარი ცოტა ხანში ჩაქრა.

ჯვარცმული პოეტის უსიტყვო ძახილი

იხ. მე-8 გვ.

„ბრიგალიო დიდი ხმებისა“...

იხ. მე-5 გვ.

მეცნიერების ხელყოფა ერის ღალატის ტოლფასია

პარლამენტი უნდა აუღლილიყო და გამოულიყო მათთან სალაპარაკოდ! ამ საკითხზე დავა არ შეიძლება, ეს უკადრისი საქციელია!

იხ. მე-3 გვ.

„სიცრუის ჩანგლით ვერ დაიჭერ სიმართლის თევზსა...“



წესდება თუ არა აკადემიურ სცენებზე მკაცრი ცენზურა? დგება თუ არა ქართული თეატრის ცხოვრებაში ნეობოლშევიზმის ეპოქა? რატომ უძდება სახელმწიფო თეატრებისთვის მინიჭებული „აკადემიური“ სტატუსის იურიდიული ფორმა? რაში აძლევს ხელს ხელისუფლებას გაატაროს თეატრის რეფორმა და თეატრებში დააკანონოს მმართველობის იმპერატიული სტრუქტურა? რა კორექტივები შეიტანა მთავრობამ „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ კანონპროექტის ახალ რედაქციაში? რატომ გამოიწვია ამ ცვლილებებმა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელებისა და რეჟისორების პროტესტი? რა არის ხელოვანებისთვის არაკანონზომიერი და ანტითეატრალური?

იხ. მე-4 გვ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თქვა, რომ 2007 წელს ცხინვალში შეესვლება

მიხეილ ვეგნანსკი
„ვრემია ნოვოსტეი“, 20 დეკემბერი.

**20 დეკემბერს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იწყება დემილიტარიზაციის პროცესი. ეს არის თბილისის და ცხინვალის მიერ შეთავაზებული კრიზისის მოწესრიგების გეგმების პირველი ეტაპი. თუ განიარაღების პროცესი წარმატებით ჩაივლის, მხარეები გადადგმენ ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების განხორციელებაზე. ამის შემდეგ კი უკვე შეიძლება ლაპარაკი სამხრეთ ოსეთის სტატუსის შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილების გამონახვაზე. ამ საკითხში პოზიციები დიამეტრულად საწინააღმდეგოა – ს

◎ ხალხს რა?

ფანტიაშვილობა ისევ მოგვდგამს

რაში და როგორ იხარჯება საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდები?

ალბათ გვახსოვს, წლეულს ჩვენი ძვირფასი და ალ-ილგლის „მამეგმა“ მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხები არაგიზნოზრივად რომ ხარჯავს. 63 მილიონ ლარზე მეტი უმიზეზოდ გახარჯეს და როცა სტიქიისგან გულმოლეგული რეგიონის მცხოვრებლებმა განცირული ხმით შველა ითხოვეს, მათ ვერაფერი მისცეს.

არადა, საქართველოს კანონმდებლობა სარეზერვო ფონდების შესახებ და „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლი, უპირველესად ითვალისწინებს, რომ „საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ისეთი საგანგებო შემთხვევებისათვის, რომელიც ბუნებრივი და სხვა სახის კატასტროფები და გაუთვალისწინებელი სახელმწიფოებრივი ვალდებულებები“.

იყო თუ არა მზად ნოლაიდელის მთავრობა, ალეკსანდრი პასუხი გაეცა სტიქიით მიყენებული ზიანისათვის?

შეძლო თუ არა ხელისუფლებამ დაზარალებული მოსახლეობის ელემენტარული სასიცოცხლო მნიშვნელობის მოთხოვნების დაკმაყოფილება?

სად იყო და რაში იხარჯებოდა ამ დროს პრეზიდენტის ფონდის სახსრები, რომელიც სწორედ ამ ალბათობის მიერ გადახდილი გადასახადებით იკსებება?

სწორედ ამ კითხვებზე სცემს პასუხებს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ მთავრობის და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდების ფინანსური მონიტორინგის ანგარიში.

ამრიგად:

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 2005 წელს გამოყოფილი საერთო თანხა 35 მილიონ 714 ათასი 099 ლარს შეადგენს.

აქედან კონცერტებზე, ფესტივალებსა და სხვა სანახაობებზე 460 ათასს 894 ლარი დახარჯა, პარლამენტარებისა და უცხოელებისა მეთაურთა ვიზიტებზე კი – 2 მილიონ 385 ათასს 354 ლარი.

ძალოვან სტრუქტურებს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან 7 მილიონ 974 ათასს 741 ლარი ეგრეთ.

რაც შეეხება სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილ თანხას, იგი წარმოუდგენლად მიზერულია. სახლ-კარისა და ყოველგვარი საარსებო სახსარის გარეშე დარჩენილი მოსახლეობის დასახმარებლად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან მხოლოდ... 4 ათასი ლარს შეელივნენ.

და ეს მაშინ, როცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონება ცალ-ცალკე განიცადა მილიონობითი ლარის ზარალი.

აი, რამდენიმე მაგალითი:

2005 წლის 14 მარტს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა სახელმწიფო კანცელარიაში ამ რეგიონში 5 მილიონი ლარის ზარალის თაობაზე მონაცემები გამოგზავნა, მაგრამ გუბერნატორის განგაშის ზარის ხმას ყური არავინ აქცია.

სამაგიეროდ, ორი დღის შემდეგ, 16 მარტს, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას დიზელის საწვავის შესაძენად სარეზერვო ფონდიდან 13 მილიონ 560 ათასი ლარის გამოყოფის თაობაზე. ამ დროისათვის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ოდენობა 14 მილიონ 195 ათასს 310 ლარს აღწევდა.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის გუბერნატორის დარად, 24 მარტს მთავრობას სამეგრელო-ზემო სვანეთის სტიქიური ზარალის – 1 მილიონ 844 ათასს 500 ლარის თაობაზე პრეზიდენტის იძა ურმა რწმუნებულმაც აცნობა.

მი უხედავად ამისა, სამეგრელოში სარეზერვო ფონდიდან კაპიკიც არ გაგზავნილა. პრეზიდენტმა კი იმავე დღეს (24 მარტს) ხელი საიდუმლო განკარგულებას მოაწერა და საკუთარი ფონდიდან თავდაცვის სამინისტროს 6 მილიონ 313 ათას 800 ლარი გამოუყო. ამ მოვლენებისათვის პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან უკვე იყო გახარჯული 22 მილიონ 185 ათასი 252 ლარი.

6 მაისს, პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში კანცელარიაში აგზავნის ზარალის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რომლის თანახმადაც სტიქიამ იმერეთს 4 მილიონ 144 ათასს 500 ლარის ზიანი მიაყენა.

სარეზერვო ფონდიდან იმერეთში არც ავფეხრად მიდის რაიმე, სამაგიეროდ, პრეზიდენტის 26 მაისის განკარგულებით, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი რუსლანას კონცერტის დასაფინანსებლად სარეზერვო ფონდიდან 32 ათას 200 ლარი წარგზავნილად გაიღეს.

პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ამ დროისათვის თანხის ხარჯვა 33 მილიონ 717 ათას 13 ლარს აღწევს.

ეს, რაც შეეხება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, რომლისგან განსხვავებითაც უფრო „ხელგაშლილი“ მთავრობის სარეზერვო ფონდი გამოდგა, საიდანაც 2005 წლის განავლოობაში 73 მილიონი ლარი დაიხარჯა.

ასევე პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან განსხვავებით, საიდანაც სტიქიით დაზარალებული საქართველოს თითქმის ნახევარზე მეტი მოსახლეობისთვის ოდენ 4 ათასი ლარი გამოიყო, მთავრობის სარეზერვო ფონდდა იგივე სამეს 2 მილიონ 988 ათასი ლარი შეელია.

მაგრამ თანხების არამიზნობრივი ხარჯვით მთავრობის სარეზერვო ფონდი პრეზიდენტისას არაფრით ჩამოუვარდება.

მთავრობის სარეზერვო ფონდიდან უფრველესად ფინანსდება ისეთი „მიზნობრივი“ და „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის“ ღონისძიებები, როგორიცაა: გარეგანა და გუნეგრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შენობის დაცვა – 28 ათასი ლარით, ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სარეზერვო სამუშაოები – 570 ათასი ლარით, 26 მაისთან დაკავშირებული ღონისძიებები – 157 ათასს 400 ლარით და 106 ათას 712 ლარით, იუსტიციის სამინისტროს სატრანსპორტო ხარჯები – 22 ათასი ევროთი, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი – 1 მილიონი ლარით, საპრეზიდენტო პროგრამა „პატრიოტის“ ფორუმი – 230 ათასი ლარით, შინაგან საქმეთა სამინისტროს შუფუფრხებელი ფუნქციონირება – 8 მილიონ 200 ათასი ლარით, „ვარდების რევოლუციისადმი“ მიძღვნილი კონცერტი – 306. 296 ლარით და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 2005 წლის განმავლობაში გამოყოფილი თანხა 73 მილიონ ლარს აჭარბებს.

აქედან, ძალოვან სტრუქტურებზე გამოყოფილი თანხა 19 მილიონ 40 ათას ლარს შეადგენს. ბასარეთოზ ღონისძიებებზე გადახარჯულია 4 მილიონ 973 ათას 696 ლარი.

წლევანდელი სტიქიის სალიკვიდაციოდ 2 მილიონ 988 ლარია დახარჯული, იუსტიციის სამინისტროსთვის კი გამოყოფილია – 6 მილიონ 907 ათას 224 ლარი.

ფინანსთა სამინისტროს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 1 მილიონ 928 ათას 340 ლარი მიეცა.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ განკარგულებებისა, რომლებთანაც საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას პრეტენზიები აქვს არამართო არამიზნოზრიოზისა და უკანონოზის გამო, არამედ იმის გამოც, რომ ეს არასწორად გამოყოფილი თანხები საეჭვოდ დიდი ოდენობისაა.

როგორც ხედავთ, საქართველოს ხელისუფლება როგორც უნდა ისე ხარჯავს საკუთარი ხალხის ფულს, ხოლო როცა ამ ხალხს უჭირს, მისი დახმარების ძალა აღარ შესწევს.

თუფცა აქ მოყვანილი ფაქტები ყველაფერი როდია. გაზეთის უახლოეს ნომერში ასევე შემოგთავაზებთ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ ჩატარებული პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდის ფინანსური მონიტორინგის ანგარიშის დასკვნებიდან, თუ რა თანხები ხარჯავენ საქართველოს პრეზიდენტისა და მინისტრები ინფორმაციის ნორმებს, და დაიმუშავა ჩვენს დელეგაციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მოლაპარაკების დროს, რომ გამოიხმოს ხელმოწერას ომმეზე, რომელი-

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რუსეთმა აკრძალა ქართული ხილის შეტანა

19 დეკემბერს „რუსეთსოფლზედამხედველობამ“ დროებით აკრძალა ქვეყნის ტერიტორიაზე საქართველოდან მცენარეული წარმოების ყველა სახის პროდუქციის შეტანა.

მიზეზია ის, რომ „რუსეთსოფლზედამხედველობა“ ვარსკვლავით, საქართველომ დაარღვია რაღაც რუსეთში მოქმედი, ისე საერთაშორისო ფიტოსანიტარიული მოთხოვნები.

როგორც 19 დეკემბერს გავრცელებულ პრესრელიზში ხაზგასმული, აკრძალვა შეეხება აბსოლუტურად ყველა სახის პროდუქციას (მანდარინი, ხურმა, ბროწეულიძ, რომლებიც უამრავი სტვირთო მანქანით გადაადგილდა რუსეთში. თუმცა სოფლის მეურნეობის საინსპექტორო გაუჩერდათ განემარტათ, იკრძალება თუ არა რუსეთის ტერიტორიაზე ქართული ღვინოების შეტანა, ვერც იმაზე გაგვცეს პასუხი გავრცელდება თუ არა ეს აკრძალვა აფხაზეთზეც. „საკმაოდ რთული სიტუაციაა, რადგან აფხაზეთი დე-ფაქტო არ ემორჩილება საქართველოს, მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია მივიჩნიოთ იგი ამ ქვეყნის ნაწილად“, – გაგაცხადა ჩვენთან საუბრისას საინსპექტორო წყარომ.

თუ „რუსეთსოფლზედამხედველობას“ ვერწმუნეგიით, საქართველოდან შემოსულ ხილის პარტიას ახლდა ყალბი ფიტოსანიტარიული სერტიფიკატები. მიმდინარე წლეს რუსმა სახელმწიფო მოხელეებმა თბილისში დააბრუნეს 106 ასეთი დოკუმენტი, რომლებიც, სავარაუდოთ, ყალბი უნდა იყოს. მოსკოვში ელოდნენ, რომ თბილისი რასაც შეფასებას მაინც მისცემდა ამ ფაქტს – დაადასტურებდა, რომ დოკუმენტები ყალბი იყო, ან უარყოფდა ამას. მაგრამ საქართველოდან ან არ მოდიოდა პასუხი, ან თუ მოდიოდა – დიდი დაგვიანებით. ამავე დროს, რუსმა ექსპერტებმა დაადგინეს, რომ გაგასაგებული იყო 12 ძალაალი, „რაც მოწმეობს საქართველოს რესპუბლიკის მცენარეთა დაცვის სამსახურის მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე“, – აღნიშნულია პრეს-რელიზში. ამავე დროს, რუსეთში არაერთხელ დაუკავებიათ ასევე ხილის პარტია, რომელსაც საერთოდ არ ახლდა არანაირი დოკუმენტი.

წმინდა ეკონომიკური დანაკარგების გარდა, ეს სიტუაცია საქართველოსთვის არ არის სასიამოვნო დიდი სავაჭრო პოლიტიკის თვალსაზრისითაც. შეგახსენებთ, ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს მხარეს განაცხადა, რომ რუსეთი არ იცავს საერთაშორისო ვაჭრობის ნორმებს, და დაემუშავა ჩვენს დელეგაციას მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში მოლაპარაკების დროს, რომ გამოიხმოს ხელმოწერას ომმეზე, რომელი-

ევგენი არსიუხინი
„როსიისკაია გაზეთა“, 20 დეკემბერი.
РОССИЙСКАЯ ГАЗЕТА

◎ კანონმდებლები

ფრიადოსანი სპიკერი და შურიანი ოპოზიცია

**პარლამენტის რიგგარეშე სესია, ჩვეულებისამებრ, სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა, შემდეგ კი ნინო გურჯანაძემ პარლამენტის სახელით საქართველოს პრეზიდენტს ვაჟის შეძენა ეფიცოცა. ზეაწეული ტონის შენარჩუნებას პარლამენტართა დაძვიული ხელფასების ხარჯზე სატიგის აღდგენაზე საუბარმაც შეუწყო ხელი. ალბათ, იცით, რომ სესიების გამდცდენ დეპუტატებს გარკვეული თანხა ჩამოაჭრეს ხელფასებიდან. მილეული ცხრა ათასი ლარით ატენის სიონის აღდგენითი სამუშაოების ხელშეწყობა დაიგეგმა, თუმცა, ნინო გურჯანაძის თქმით, ამის აუცილებლობა აღარ არსებობს. კულტურის მინისტრს მისთვის განუმარტავს, რომ ატენზე რამდენიმე პროგრამა ზრუნავს, სამაგიეროდ აღსადგენია უბისის ორი ხატი, რომელებიც XIV საუკუნეთ თარიღდება. გამდცდენ დეპუტატების ხელფასებიდან დაძვიული თანხით სწორედ ეს ხატები აღდგება და შეუნარჩუნდება საქართველოს. ეს კეთილშობილური ნაბიჯი იმდენად მიმზიდველი აღმოჩნდა პარლამენტის წევრებისთვის, რომ გამორიცხული არ არის, გამცდენთა რიცხვი გაიზარდოს. მაგალითად, ეროვნებათა ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს დუკვით გაძარცეს, ცოტა არ იყოს, შერცხვა, სესიებს რომ არ აკლდნოდა და უბისის მონასტრის ხატების აღდგენაში წვლილი ვერ შეიტანა. ეს ხუმრობით, თორემ ყოველდა დეპუტატმა კარგად იცის, მისი უფროსელების მოვალეობა სწორედ სხდომებზე დასწრება და კანონმდებლობის მიღებაში მუშაობა რომ არის.

როგორც იცით, პარლამენტმა საშემოდგომო სესიაზე ბევრი კანონი მიღება ვერ მოასწრო, რის გამოც ახლა დაძაბულ რეჟიმში უწევს მუშაობა. გუშინ დღის პირველი ნახევარი იმ სისწრაფით გამოიჩეოდა, საბანგებო სესიის დროს რომ დასჭირდა ჩვენს უმალლეს საკანონმდებლო ორგანო. სანამ მეორე თუ მესამე მოსმენით უდისკუსიოდ მიიღებდნენ მთელ რიგ კანონმდებლებს, კვლავ უსარეს კენჭი წინა კვირას ჩავარდნილ პროექტს საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ. ალბათ, გახსოვთ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ასაკის 28 წლამდე დაწევას ოპოზიციის ბარდა უმრავლესობის რამდენიმე წევრმაც არ დაუჭირა მხარი. კანონმდებლს ეძლევა ხმა დაკალდა. პრეზიდენტის ინიციატივის ჩავარდნამ უმრავლესობის ლიდერები გააოცა, თუმცა, როგორც ახსნეს, რამდენიმე დეპუტატის კუნძულმა არ იმუშავა და პროგლემაც ამან გამოიწვია.

პრეზიდენტის ინიციირებული პროექტის ჩავარდნას მეფეა უმრავლესობის წევრთა დაპირისპირებაზე საუბრით გამოეხმაურა. ნინო გურჯანაძე უმამყოფილო დარჩენილა ივით, რასაც მან „პრესის ირონია“ უწოდა. როგორც გითხარით, საკონსტიტუციო ცვლილებები გუშინ კვლავ გამოიტანეს კენჭისყრაზე, რაც მემარჯვენე ბამუკა აცაცი თუ შეგწევთ და მერე ილაპარაკეთო. – ძალიან გინდათ, სტეფანე თქვენთ და ცაბ ძუხილი დაიწყოს, მაგრამ თქვენს გამოსვლას ხალხი ისე არ ალიქვამს ხოლმეო, – უპასუხა მანანა ნაჭყებიამ.

ერთმანეთის გაძილიკების შემდეგ კანონმდებლების მილების სწრაფი პროცედურა დაიწყო. ამას გარდა, პარლამენტმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი განცხადებას, რომელიც კოტე ბაბაშვილმა წარმოადგინა. მაშინ, როცა რუსეთ-უკრაინის ეკონომიკური ომთარება დაიძაბა, საქართველომ საჭიროდ ჩათვალა, მხარდაჭერა გამოეცხადებინა მეგობარი ქვეყნისთვის ბასული საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული გენოციდის გამო. მაშინ ბოლშევიკებმა ყველაფერი ილონეს, რათა რამდენიმე მილიონი უკრაინელი შიმშილით ამოეწყვიტათ. გენოციდის ფაქტი სხვა ქვეყნებთან ერთად რუსეთმაც აღიარა. ეს ის საკითხია, ათეული წლების განსვლის შემდეგაც რომ მტკივნეულია. ამიტომ საქართველოს პარლამენტმა საჭიროდ ჩათვალა, მორალური მხარდაჭერა გამოეცხადებინა უკრაინისთვის.

რუსუდან გახარია

◎ პრესკონფერენცია

სასამართლო პროკურატურის დაპრულგე ცეკვავს?

უზენაესი სასამართლოს დისციპლინურად დევნილი მოსამართლეების საკითხი იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 21 დეკემბერს უნდა განიხილოს. შეგახსენებთ, რომ დისციპლინური დევნა 18 მოსამართლეზე აღძრული და მათი გედ-ილგლის გადაწყვეტა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სხვადასხვა მიზეზის გამო რამდენჯერმე გადადიდო.

სანამ საბჭო მერაბ ტურავას, ნინო გვენეტაძის, დავითი სულაქველიძის და კიდევ რამდენიმე მოსამართლის საკითხს განიხილავდა (დღეს, 21 დეკემბერსაც, 20 დეკემბერს „თბილისი მარიოტში“, „საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციამ“ და მათმა მხარდამჭერმა უცხოურმა ორგანიზაციებმა პრესკონფერენცია გაგართეს დღეს ინ: „მოსამართლეები, ადვოკატები და ჟურნალისტები დამოუკიდებელი სასამართლოს გადასარჩენად“.

როგორც მოსამართლე ნინო გვენეტაძემ გვაცნო, მოსამართლეებმა პრესკონფერენციაზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელი ვალერი ცერცვაძე და სახალხო დაცველი ლაშა ერეკვლიანი ცოტა ხანით ერთ ადგილზე ერთად ვერ მიიწვიეს. მაგრამ აღნიშნეთ, მათ ბანგამ თავი არ შეიწუხაო, დაასრულა გვენეტაძემ, რომელს ამნათქვამსაც დარბაზის უკანა რიგიდან ახალგაზრდა მეგობარს შემახსენი მოუყვა: „როგორ ბეკადრება, გვითხრეს, ჩაცხრილული ფალვა ნათელაშვილი მტრის ჯინაზე, ჯანზეა, თავს მეგვეგივრად გრძნობს, ოფისში იმყოფება და მუშაობსო. როცა ეს ჭორი შეიტყო, ჩაიცინა და მარკ ტვინის სიტყვით გაიხუმრა: „ცნობა ჩემი გარდაცვალების შესახებ ერთობ გადაჭარბებულიაო“.

გავრცელებული ინფორმაციისთან დაკავშირებით კომენტარი ლეიბორისტების პრესსამსახურის უფროსმა ქეთი დორრის ვიშინსკის შემდეგ ვინმეს ამბავი განცხადება გაეკეთებინოს. კოტე კუბლაშვილი როგორც სიტყვით, ასევე საძმით უფლის ხელს ჩვენს ქვეყანაში ოგიეტმური, ბეუკარ ძოკელი და სამართლიანი სასამართლოს არსებობას.

ტურავას თქმით, სასამართლოს მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას მთლიანად პროკურატურა აკონტროლებს.

– რატომ ირიცხება საპროცესო შეთანხმების თანხები კერძო სამართლის იურიდიული პირის ანგარიშზე? და არა სახელმწიფო გიუჯეტში? – დასვა კითხვა მერაბ ტურავამ და პასუხიც თავად გასცა, – იმიტომ, რომ ეს თანხები უფროგლეთოდ გადასანწილდეს იმ პირებზე, ვისაც პროკურატურა წყალობს. ამ წყალობას კი ყველაზე ხშირად მართული დასაბალუფლების მორჩილი მოსამართლეები ილებენ, – თქვა ტურავამ და ისიც დასძინა, სწორედ საკონტროლო შეთანხმებიდან მილეგული თანხებით უფიდა პროკურატურამ კუბლაშვილს და ცერცვაძს ძვირადღირებული მრგვალფარეხიანი „ფერსეფონეი“.

მერაბ ტურავამ 21 დეკემბერს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გასამართ იმ პროცესზეც თქვა, რომელმაც დისციპლინურად დევნილი მოსამართლეების საკითხი უნდა გადაწყვიტოს:

– ჩვენ დიდი იმედი არ გვაქვს, რომ საბჭოს ინიციატურ გადაწყვეტილებას მიიღებს, მაგრამ მაინც მოვუწოდებთ ხელისუფლებასნუ დაარღვევენ კანონს და გააკეთონ ისე, რომ კანონი და სამართალი პოლიტიკაზე მაღლა დადგეს. ამით გავიმარჯვებთ არამარტო ჩვენ, არამედ მთლიანად სახელმწიფო, რომელმაც დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო უნდა ააშენოს.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია და მათი მხარდამჭერი უცხოური ორგანიზაციები, ადვოკატები და ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლები საერთო მიმართვის ტექსტს შეიმუშავებენ და მას საქართველოს პრეზიდენტს გაუგზავნიან.

ხუხა ჯანდიერი

◎ ინფორმაცია

დედულეთი გახარებულია

ნიდერლანდების ელჩი საქართველოში ოონ ელდერენგბერგი საქართველოს პრეზიდენტს ვაჟიშვილის დაბადებას ულოცავს.

„ვულოცავთ მისეულ სააკაშვილსა და პირველ ლედის ვაჟიშვილის, ნიკოლოზის დაბადებას. ეს მოვლენა ჰოლანდიაში, ისევე როგორც საქართველოში, დიდი სიხარულით მიიღეს“, – ნათქვამია ოონ ელდერენგბერგის მისალოც ფურცელში.

რუსეთმა გაზი გაგვიძვირა

გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოლაიდელი „გაზპრომი“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ალექსეი რიაზანოვს შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელიც 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა, მხოლოდ ერთი საკითხი, საქართველოსთვის გაზის მოწოდების ფასი გადაწყდა. ორი საკითხი კი კვლავ შეთუთანხმებელი დარჩა.

რეგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა განაცხადა, „გაზპრომთან“ მიღწეულია მხოლოდ ერთი შეთანხმება – საქართველო რუსეთიდან 1000 კუბურ მეტრ აირს 110 დოლარად მიიღებს, ხოლო ერთიოლეთივ საწარმოს შეძენა ეს საქართველოს სომხეთში გაზის ტრანზიტის ფასი ჯერ კიდევ შეთანხმებელია.



„როგორც ალმოჩნდა, ჩვენს მიერ შეთანხმებული წინადადება ერთიოლეთივ საწარმოს შეძენის შესახებ „გაზპრომინთვის“ ნაკლებად საინტერესოა. „გაზპრომი“ ჩვენი გაზსადენის ყიდვით არის დაინტერესებული“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოლაიდელმა.

მისი თქმით, რიაზანოვმა გაზსადენის შესყიდვის შესახებ წინადადება დააყენა და საქართველოს მთავრობა ამ წინადადებას აუცილებლად განიხილავს.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს გაფლეთ სომხეთისთვის გაზის მიწოდების ფასზე საქართველოს მთავრობა „გაზპრომთან“ მომავალი წლის პირველ კვარტალში იმსჯელებს.

„გაზპრომის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ალექსეი რიაზანოვის განცხადებით, საქართველოსთვის გაზის გაძვირების გადაწყვეტილება პოლიტიკური გადაწყვეტილება არ იყო.

შალვა რამიშვილი – უკანონო პატიმარი?

ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის შალვა რამიშვილის ადვოკატები თბილისის სამხედრო სასამართლოს სამმის განხილვის დაწყების გაძიანურებებაში ადანაშაულებენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დაკავებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა ბოჩა სვანიძემ განუცხადა, სასამართლოს სამმე განსახილველად 27 ნოემბერს გადაეცა. დაცვის მხარემ დაკავებულების უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლების შუამდგომლობა დაუყენა, რის გამოც სასამართლოს გადწყვიტა ეფლი ხელმეორე დანიშვნა სუსტოვს, თუმცა, ალნიშნულ მოთხოვნას რეაგირება არ მოჰყოლია.

ადვოკატი რამიშვილისა და კოზრეიძეს 27 ნოემბრიდან უკანონო პატიმრებად ითვლებიან.

„27 ნოემბრის შემდეგ, რამიშვილისა და კოზრეიძის თვის წინასწარი პატიმრობა არ გაუგრძელებიათ და არც სამმის განხილვა დაწყებულა“, – განაცხადა სვანიძემ.

ინტერპრესნიუსი

◎ ჭორო, საიდან მოდიხარ?...

„ქალის ეოკელილი ვაჟიანი ჭრაც არ დაბალეულ“

მართლა ჩაცხრილეს თუ არა შალვა ნათელაშვილი



გუშინ ვერის უბანში ჭორი გავრცელდა, ქუთაისიდან თბილისისკენ მომავალი შალვა ნათელაშვილი ბანძანაში ჩაცხრილეს. უმალ ტელეფონს ვეცით და ლეიბორისტული პარტიის ოფისში დავრეკეთ. მაღლობა ღმერთს, გვითხრეს, ჩაცხრილული შალვა ნათელაშვილი მტრის ჯინაზეა, ჯანზეა, თავს მეგვეგივრად გრძნობს, ოფისში იმყოფება და მუშაობსო. როცა ეს ჭორი შეიტყო, ჩაიცინა და მარკ ტვინის სიტყვით გაიხუმრა: „ცნობა ჩემი გარდაცვალების შესახებ ერთობ გადაჭარბებულიაო“.

გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით კომენტარი ლეიბორისტების პრესსამსახურის უფროსმა ქეთი დორლიძემ გააკეთა: „ასეთ ჭორებს ძალაქში ხელისუფლების უსაქმური „აქტივისტები“ ავრცელებენ, მსგავსი ინფორმაცია სამი თვის წინათაც გაავრცელეს. ვერანაირი მეთოდით ვერ შეძლეს ჩვენი დაჩოქება, და ახლა ასეთ ულირს ხერხს მიმართავენ. არ გამოვრიცხავთ, რომ ასეთი რამ მართლაც მოხდეს, ესენი ყველაფერზე წამსვლელები არიან. ქვეყანა თავზე გვენგრევა და ნუთუ ამ ხელისუფლებას ლეიბორისტული პარტიისა და შალვა ნათელაშვილზე ჭორების გავრცელების მეტი საქმე არაფერი აქვს?...

მსგავსი ჭორები ალბათ მომავალშიც არაერთხელ გავრცელდება.

ამრიგად, ხალხური ლექსის პერიფრაზს თუ მივმართავთ: **„შალვას მომკელელი ვაფაცი ჯერაც არ დაბადებულა...“**

ლელა ხვადაგიანი

ვითხოვ სიტყვას!

მეცნიერების ხელოვნება ერის ღირებულების ცოლიფასია

ამჟამად საქართველოში საკმაოდ მძიმე ვითარებაა შექმნილი. მრავალდგება სხვადასხვაგვარი რეფორმების გატარება, რაც თავისთავად სრულიად კანონზომიერი პროცესია. ცხადია, მე ვერ დავიწყებ ამ რეფორმების ყველა მიმართულების შეფასებას, რადგან არ ვარ სათანადოდ მომზადებული ყველა დარგში მიმდინარე გარდაქმნების ავ-კარგიანობაზე საკუთარი აზრის გამოთქმა-ვნებინოთვის. ეს უნდა გააკეთონ ამ კონკრეტულ დარგის სპეციალისტებმა. მაგრამ ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება მაძლევს უფლებას, ისეთ დარგებს შევეხო, როგორიც არის მეცნიერებისა და განათლების სისტემის რეფორმირება. სტუდენტების წლებს თავი რომ დავანებოთ, 1950 წლიდან უნივერსიტეტში ვმსახურობდი, გარკვეულ წლებში ვიყავი პროორეტორი, კათედრის გამგე, ასე რომ, კარგად ვერკვევი იმაში, რა არის უმალესს სასწავლებლებში გარდაქმნა-რეფორმირების ძირითადი მიმართულებები, რა კონკრეტული სფეროები საჭიროებენ ასეთ გარდაქმნებს. პარალელურად მეცნიერებათა აკადემიის, რამდენიმე ინსტიტუტში (ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის), მუზეუმებში მიმუშავია და აქაც საკმაოდ კარგად ვერკვევი შექმნილ ვითარებაში და გარდაქმნების საჭიროებაში.

ამჟამად შევეხები განათლების და მეცნიერების დაბეგმილ გარდაქმნაში მიმდინარე პროცესებს. წინასწარვე შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ ამ დარგებში დაბეგმილი ღონისძიებები არაპროფესიონალურად და მცდარად ხორციელდება, რაც ჩვენთან ესოდენ ძნიშვნელოვანი დარგების არა გაუმჯობესებას, არამედ აშკარა დაცემას, მომავალში განადგურებას გამოიწვევს.

მე განსაკუთრებით შეშფოთებული ვარ 14 დეკემბერს მომზდარმა ფაქტმა. ჩვენი ერის გენეგალითი ფონის ყველაზე მონინავეთანაწილნი, მსოფლიოსაპარეზზე საქართველოს სახელის გამმტანა ელიტამ, გადაწყვიტა პარლამენტის წინ „ძმეფარე“ საპროტესტოაქციის ჩატარება. მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა რანგის წარმომადგენელნი შეიკრიბნენ პარლამენტის წინ. ამ დროს პარლამენტის სხდომა მიმდინარეობდა და ერთ-ერთმა პარლამენტარმა ძალბატონმა პარლამენტის თავმჯდომარეს სთხოვა, ამ ფაქტის თაობაზე მიეცია ყურადღება, ვინმეს თვის დაევალებინა გარეთ გასვლა და აქაურის მონაწილეებისთან დიალოგი...

და აქ მოხდა ჩემთვის სრულიად მოულოდნელი რამ: ეს იყო პარლამენტის თავმჯდომარის ძალბატონ ნინო პურეჯანაძის რასაქცია ამ ფოსტაზე, ძალბატონმა ნინომ საკმაოდ ბალიზანიანებულმა უპასუხა, რომ იგი სრულიად არ თვლის თავს ვალდებულად, ასეთ აქციებზე რეაგირება მოუხდინოს, რადგანაც ვინმეს აწყოს სხვადასხვა საკორტესტო აქციებს და ყველაზე რეაგირება რომ მოახდინოს, არ ეგებაო!

ჩვენი პარლამენტის გან ყველაზეფარს ვეიძლება ელოდოდეთ, მაგრამ ძალბატონ ნინოს გან ასეთ რეაგირებას არ ველოდი. **რეგორ, ჩვენი ერის ყველაზე ამოვნიანვე ძარეული მეცნიერების უმალესი ინტელექტუალური ელიტის ასეთმა თავგრილლოგამ ამგვარი რეაქცია უნდა გამოიწვიოს?!** მე იმ აქციაში არ ვმონაწილეობდი ბარკვეული პირადი მიზეზების გამო, ამიტომ წერვინ ჩართვის, რომ მე ჩემს მიგანთ ველოდი რიმე ყურადღებას, მაგრამ ერის ნებისმიერი ნაწილის შემარცხვენლად მიმაჩნია ასეთი რეაქცია. მე (და ყველა, ვისაც მე ამის შესახებ ველაპარაკენ) ღრმად მწამს, რომ ამ განსაკუთრებულ აქციას ასევე განსაკუთრებული რეაგირება ს ჭირდებოდა. **პარლამენტის თავმჯდომარეს ვინმე კი არ უნდა გაეგზავნა მეცნიერებისან შესახვედრად, არამედ თვითონ უნდა ყოფილიყო ამ ადგილზე, მეთილი პარლამენტი უნდა აფლილიყო და გამოსულიყო მათთან სალაპარაკოდ!** ამ საკითხზე დავა არ შეიძლება, ეს უკადრისი საქციელი!

ასევე სრულიად გაუგებარია ელაგად და სამარცხვინოდ მიმაჩნია ისეთი მაკაფრი რეაქცია, რომელიც მეცნიერთა თოთხოეთზე გამოიჩინა ამ ფლეებში ბატონმა ნოდარ ბერიძალაშვილმა. მისგანაც ეს ჩემთვის სრულიად მოულოდნელი ძმედება იყო!

და, ბოლოს, ნუთუ ჩვენმა საზოგადოებამ, მისმა ინ ნაწილმა, რომელიც პარლამენტში მოლვაწეობს, ნუთუ ჩვენმა ხელისუფლებამ ვერ უნდა გაანცოგიეროს, რომ ასეთი უაღრესად მნიშვნელოვანი, ეროვნული პასუხისმგებლობით დაპუტატი რეფორმები განათლებისა და მეცნიერების სფეროში არ შეიძლება ბანახორციელონ ივით, ვისაც არავითარი ბომეზადება, გამოცდილება, შეეხნება არ გააჩნიათ?! რეფორმებს არსებითად ატარებს სრულიად მოუმზადებელი კაცი, ვისაც უბრალოდ არ ესმის, რას აკეთებს, რასთან აქვს საქმე. ხომ უნდა გვესმოდეს, რამ ამ უაღრესი მნიშვნელობის რეფორმები არ შეიძლება უმეცარმა ადამიანმა დაბეგმოს და აამოქმედოს. ეს მიხ ეგვანებს, რომ მე ფეინდურ ოლაც ბარდაგია. ეს ბოლ ეგვანებს, რომ ამ ფეინდურ ოლ ეგ ბარ ბეგ ბეგ ბეგ

⊙ დიალოგი კითხულ კაცთან

„სიცრუის ჩანგლით ვერ დაიჭერ სიმართლის თევზსა...“

წესდება თუ არა აკადემიური სკვნებზე მაკარი ცენზურა? დღეება თუ არა ძართული თეატრის ცხოვრებაში ნეობოლშევიზმის ეპოქა? რატომ უძღვება სახელმწიფო თეატრებისთვის მინიჭებული „აკადემიური“ სტატუსის იურიდიული ფორმა? რაში აძლევს ხელს ხელისუფლებას გაატაროს თეატრის რეფორმა და თეატრებში დააკანონოს მმართველობის იმპერატიული სტრუქტურა? რა კორექტივები შეიტანა მთავრობამ „სახელმწიფო თეატრების შესახებ“ კანონპროექტის ახალ რედაქციაში? რატომ გამოიწვია ამ ცვლილებებმა თეატრის სახსტავრო ხელმძღვანელებისა და რეჟისორების პროტესტი? რა არის ხელოვნებისთვის არაკანონზომიერი და ანტითეატრალური?

– რა საჭირო იყო იმ კანონმდებლობის შეცვლა, რომელიც დაფუძნებული იყო თეატრის ცხოვრების პრაქტიკულ ცოდნასა და გამოცდილებაზე, არ მესმის... – მესაუბრება თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე **გიგა ლორთქიფანიძე,** – როცა ეს კანონპროექტი მზადდებოდა, მაშინ ახალგაზრდა რეჟისორების დახმარებით, ჭირადდა მე ახალგაზრდა ლოგდი მის შექმნას, რომელიც 1999 წელს ოფიციალურად დაეკანონა იმდროინდელმა პარლამენტმა. ამ ახალ რედაქციაში იკითხ, რა არის ჩვენთვის მიუღებელი? – ის, რომიცვლება თეატრების მმართველობითი სტრუქტურა, თეატრებში პირველი პირი სახსტავრო ხელმძღვანელის ნაცვლად ხდება დირექტორი და სწორედ დირექტორის რეპერტუარი კულტურის სამინისტრო ნიშნავს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს...

– და მაინც, ამ ფორმალოგაში რა არის პარადოქსი?

– ის, რომ ეს არის ფეიგორაენება კომფლინსტური აზროვნებისა. თეატრების ცხოვრებაში იყო აუფანელი პერიოდი – 20-იანი წლები, როცა კოფუნისტებმა წითელი კომინრეხი დანიშნეს თეატრების დირექტორებად და ამას ფეიდდ მოუყვა საფინელი რეპრესიები, დახვრეტები... რატომ? – იმიტომ რომ სანდრო ახეტელს ვერ დაიმორჩილდნენ, კოტე მარჯანიშვილს ასე იოლად ვერ ფეეკამთეგლოდნენ... მაფინ წითელ კომისარს დირექტორი დაარქვეს ფორმალურად, მაგრამ სინამდვილეში ის იყო საგჭოური იდეოლოგიის გამტარებელი დიქტატორი... დღეს ბევრს არ ახსოვს, უფროა მეტიც, არავინ არ იცის, თუ ვინ იყო კოტე მარჯანიშვილს, სანდრო ახეტელის ან სტანისლავსკის დირექტორი, პიტერ ბრუკის ან პიტერ შტაინის დირექტორი... და საერთოდ, ვინ არის თეატრის დირექტორი და მისი რეპერტუარი? ეს ფინელ ფეინიშნეს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი?! თეატრის სიცოცხლეს განსაზღვრავს მისი სამხატვრო ხელმძღვანელი და სწორედ ის უნდა იყოს თეატრში პირველი პირი, მისი წარდგენილი უნდა დაინიშნოს დირექტორი, რომელიც ხელისუფლების ბრძანებებს არ დაემორჩილება და თეატრის მხატვრულ-შემოქმედებითი საქმიანობაში საერთოდ არ ჩაერევა...

– ეს ნორმატიული შენიშვნები ისევდა აღნიშნულია კანონპროექტის II თავის მე-4 მუხლში, რომელშიც გათვალიწინებულია სახელმწიფო თეატრების უფლება „შემოქმედებითი საქმიანობაში დამოუკიდებლობა და თავისუფლება“, ხოლო III თავის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფო თეატრების მმართველი „წარმართავს თეატრის ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ და ფინანსურ საქმიანობას, წყვეტს თეატრის ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის მოვალეობათა უფლების საკითხს, თეატრის სახსტავრო ხელმძღვანელთან შეთანხმებით დებს შრომით ხელშეკრულებას დასის წევრებთან საკრთველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად“.

– ასეა, მაგრამ ამ დოკუმენტით მთავრობა და თეატრის მმართველი თეატრის შემოქმედებით თავისუფლებაში უკვე ჩარეულია...

– როგორ და რა ფორმით?

– იცით, თეატრის მმართველი ხელისუფლებისგან მართვადი პიროვნება გახდება, ანუ ის იქნება კულტურის სამინისტროს წევრეგული თეატრში, როგელიც აუცილებლად დაუპირისპირდება სამხატვრო ხელმძღვანელს. იმ შემთხვევაში, თუკი სამხატვრო ხელმძღვანელი მოისურვებს დადგას ისეთი სპექტაკლი, რომელიც პოლიტიკურად მიუღებელი აღმოჩნდება ხელისუფლებისთვის, მაშინ მას დაფფინანსებას თეატრის მმართველი? – რა თქმა უნდა, არა, რადგანაც აქაფუშაკვდება ზეკვინან ნაკარნახევი ფარული ცენზურა... პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთუბერის“ ინსცენირებას ან მსგავსი გენიალურნაწარმოებების დადგმას, გუნეგრილია, არ მოიწოწებს მთავრობა, რადგანაც მასში საკუთარ თავს დანიხსნის და, აქედან გამომდინარე, ამ უსიამოვნებას ძალიან მარტივად გაექცევა... იცით რა, შეეცვლილი კანონმდებლობით ხელისუფლებას ხელ არ აძლევს ასე ილად საუბარი თეატრის შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვებზე, პირად კონტროლზე, სამაგირომ, თეატრში დანიშნას თავის კაცს, რომელიც ჩაერთვა, წარმართავს და კიდევ მოაწესრიგებს ამ ცოცხალი ორგანიზმის პოლიტიკას. აქ შეეხსირისეული სიტყვები რომ მოვიშველიოთ, „სიცრუის ჩანგლით ვერ დაიჭერ სიმართლის თევზსა“... უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სამინისტრო არ უნდა ელაპარაკოს როგორტ სტურუას, ანუ სამხატვრო ხელმძღვანელს, რადგანაც სტურუა შესანიშნავი, თანაც პრინციპული შემოქმედია და მასთან საუბარი ოფიციალურ სტუდტურას გაუჭირდება, თავის საკარგეგლოდ საკრთო ენას ვერ გამონახავს და ამიტომაც ამ გალანსს მოაწესრიგებენებს თეატრის მმართველს – ინტენდანტს.

– საინტერესოა, კანონპროექტის ახალი რედაქციის რომელი მუხლი იძლევა ამ საფუძველს? აკადემიური თეატრების დაფინანსების წყარო სახელმწიფო გიუჯეტია და კანონმდებლობით ნეგადრეული სხვა შემოსავლები, ამიტომაც გუნეგრივია, სამინისტრომ ინტენდანტის იურიდიქციით, ოფიციალურად უნდა გააკონტროლოს თავისი ფუნქცია... რა არის აქ არაკანონზომიერი ან მიუღებელი?

– სახელმწიფოს წინაშე ფინანსების საკითხში ისევდაც პასუხისგებელია თეატრის დირექტორი, მაგრამ არც ერთი სახსტავრო ხელმძღვანელი არ მოითმენს, რომ მის ზემოთ იდგეს დირექტორი და მისი კარნახით შექმნას თეატრის რეპერტუარი... ეს იგივეა კოეტს ან მხატვარს „ეთაფრო“: – ეს დახატე, ეს არ დახატო! ადამ თუ არ დახატავ, მაფინ არ ვოგცემ არც სალებავებს და არც ტილოს! ეს ხომ დაუშვებელია, ადამ კამათიც არ სირცხვილი! დირექტორმა განსაზღვროს სახელმწიფო თეატრში თუ ვინ იქნება სამხატვრო ხელმძღვანელი, დაგინიშნოთ, ადამ მთელი მსოფლიო დაგვიინებს. მსგავსი პრაქტიკა საერთაშორისო მასშტაბით არ არსებობს: შექმენირის თეატრში, კომედი ფრანსეს თეატრში, მოსკოვის სამხატვრო თეატრში მოიმხდარა მსგავსი რამ? ქვეის კანონმდებლობის გათვალისწინებით, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის რეკომენდაციით კულტურის სამინისტრო ნიშნავს დირექტორს – ეს არის სწორი და თუკი ამაზე ვერ ვთანხმდებით ოფიციოზთან, მაშინ კანონმდებლობაში შეეიდეს კიდევ დამატებითი ცვლილება, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც და თეატრის მმართველიც დანიშნოს კულტურის სამინისტრომ და ამ ფეიდ შორის უფლება-მოვალეობები გაიმიჯნოს. სხვანაირად მეფიდ გარემოში ვერ იმუშავებს თეატრი, აქ დაიწყება გაუთავებელი კოფლიქტები დირექტორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს შორის, დასსა და დირექტორს შორის და ატყდება მთელი სანდალი.

– პატონო გიგა, პარლამენტის საკომიტეტო სხდომაზე ალნიშნული კანონპროექტის განხილვა უკვე მოეწყო, თუმცა ოფიციალურად თეატრის კანონმდებლობის ახალი რედაქცია საბოლოოდ ჯერ არ დამტკიცებულა და ამიტომაც შესაძლებელია ნორმატიულ აქტებში თეატრის მოვალეობა შენიშვნების საფუძველზე, დამატებითი ცვლილებები შეიტანონ?

– შეიძლება, მაგრამ ამ საკითხის საკომიტეტო განხილვამდე ჩვენ არაფერი გვკითხეს, ეს ყოველი ვე შემთხვევით გაგიგეთ... როგორ შეიძლება ასე?! იმ პროექტის შეცვლაზე მსჯელობდნენ, რომელიც ჩვენ ავტორობითა და ინიციატივით მიიღო წინა პარლამენტმა. ამ უტაქტობაზე ბოდიში კიდევ მოიხადა პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ნოდარ გრიგალაშვილმა და დაგვპირდა, ჩვენს შენიშვნებს კანონპროექტში შეიტანდა. ვნახოთ, რა იქნება... მე ჩემი კოლეგების სახელით ვსაუბრობ, ჩვენ არ შეგვიძლია, მეფიდად ვუყურეთ იმ კანონპროექტს, რომელიც თეატრალურ ცხოვრებაში შემოიტანს დისკომფორტს...



– კანონის ახალი რედაქცია ალარ ითვალისწინებს თეატრებისათვის „აკადემიური“ ნოდების მინიჭებას და კალადაკარგულად ცხადდება ის ნორმატიული აქტები, რომელთა მიხედვითაც დღეისათვის არსებული 7 სახელმწიფო თეატრი ატარებს აკადემიური თეატრის საპატიო სახელწოდებას. როგორც განმარტეგულია: აკადემიურობა საბჭოთა პერიოდის გადმოლაშთია, რომელმაც დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და აღ ნოდების მინიჭების მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების არარსებობის გამო, კიდევ გაუფასურდა... ეს რას ნიშნავს?

– ამაში პირადად მე პროდლემას ვერ ხედავ... აკადემიურობა ნიშნავს მაღალხარისხოვანი და ფაღალპროფესიული შემოქმედების დაფასებას და ალიარებას სახელმწიფოს მხრიდან, მეტ ფინანსური მხარდაჭერას... ეს იურიდიული ფორმა თუ გაუქმდება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ აკადემიური თეატრების მუშაობა ხელოვნების მიერ აკადემიურად ალარ შეფასდება, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ ხელისუფლება არა თეატრს, არამედ ხალხს აძლევს დოტაციას... ეს უნდა გავიგოთ კარგად! თანამედროვეობის ძმიდე სოციალურ პირობებში თეატრი მოიუზრება ფუფფუნებად, საქართველოში დღეს შეუძლებელია თეატრმა იარსებოს დამოუკიდებლდ, რადგანაც მაყურებელის მცირედოდენობით უნარიანობა დაყვანილია ნულზე. ჩვენ რომ შეგვეძლოს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისად, თეატრში ბილეთები გავყიდოთ 100-150 დოლარად, მაფინ ფილმებზა ალარც იკ დაგვჭირდეს სახელმწიფოს დახმარება.

მზეხა მახარაძე

⊙ ინფორმაცია

მარჯანიშვილის თეატრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. ყოფილი დირექტორის გაიოზ კანდელაკის განცხადებას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ხელი უკვე მოაწერა.

მარჯანიშვილის თეატრის დირექტორის თანამდებობას ეკა მაზმიშვილი, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტს ლევან წულაძე დაიკავებს.

„უახლოეს მომავალში თეატრის ძველი და ახალი ხელმძღვანელობა შეხვდებიან ერთმანეთს და თეატრის კეთილდღეობისთვის საჭირო დეტალებს შეათანხმებენ. ვფიქრობ, რომ ეკა მაზმიშვილი და ლევან წულაძე თეატრს წარმატებულად წარუძღვებიან“, – განაცხადა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა.

დაქვითული თანხა – უბისის ეკლესიას

თანხაა, რომელიც დეპუტატებს გაცდენისთვის დაეჭვითათ, პარლამენტი საძველმოძმედო მიზნებს მოახმარს.

რეფორმა პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე განაცხადა, აღნიშნული თანხით, რომელიც 9 000 ლარს შეადგენს, უბისის ეკლესიის ორი უნიკალური ხატის რესტავრაცია მოხდება.

ბურჯანაძის თქმით, თავდაჰირველად, ატენის ტაძრის ხატების რესტავრაცია იყო დაგეგმილი, მაგრამ გაირკვა, რომ ამ ეკლესიის ხატების რესტავრაცია კულტურის სამინისტროს უკვე დაწყებული ჰქონდა.

უბისის ეკლესიის ხატები XIV საუკუნეს მიეკუთვნებიან.

მედიანიუსი

ავარიული სახლების ნაცვლად...

ჩულურეთის რაიონში, 2006 წლის გაზაფხულზე ძველი, ავარიული სახლების ნაცვლად, თანამედროვე სტილის ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლები აშენდება.

ახალი პროექტის პრეზენტაცია გუშინ, თბილისის მთავრობის სხდომაზე წინასაპროექტო ძალაფლებმარდებით კვლევებისა და საინვესტიციო გეგმარეგითი ნოვაციების გიუროს „პრაქიმედიას“ ხელმძღვანელმა გია გიორგაძემ წარმოადგინა.

რეფორმა მან ჟურნალისტებს განუცხადა, პროექტი ჩულურეთის რაიონის ერთ უბანში განხორციელდება, რეფორმა მოიცავს გუხაიძის ქუჩის პირველ შესახვევს, გუხაიძის ქუჩის მოწაკვეთს 20-დან 38 ნომრამდე და დოქიას შესახვევს. ამ უბანში დღეისთვის 84 ოჯახი, სულ 250 მოსახლე ცხოვრობს. რეკონსტრუქციის შედეგად, მათი რიცხვი 380-მდე გაიზრდება.

„ახალი პროექტი იქნება ერთგვარი წინსვლა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ამ უბნის მოსახლეობისთვის. პროექტი მზადაა და ის უახლოეს დღეებში ძალაქმედებამარეგის სამსახურს წარედგინება. პროექტით დაინტერესებულნი არიან უკრაინის და ისრაელის ბიზნესწრეები, ასევე დანიური კომპანიები“, – აღნიშნა გია გიორგაძემ.

მისივე ინფორმაციით, ჩულურეთში თანამედროვე სტილის საცხოვრებელი კვარტალის მშენებლობას სავარაუდოდ ორწელიწადნახევარი დასჭირდება. „ეს უბანი გაბალიანი იქნება ჩულურეთის რაიონის სხვა უბნებში ინვესტიციების განსახორციელებლად“, – მიაჩნია „პრაქიმედიას“ ხელმძღვანელს.

ინტერპრესნიუსი

მოძრაობა კვლავ უეცღუდულია

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კოტის მონაკვეთზე ავტომობილების მოძრაობა კვლავ შეზღუდულია.

როგორც „მედიანიუსს“ საავტომობილო გზების დეპარტამენტში განუცხადეს, ამ მონაკვეთზე მისაგებელიანი და ნახევრადმისაგებელიანი ავტომტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია. სხვა ტიპის ავტომტრანსპორტის მოძრაობა კი მხოლოდ მოცურეების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებითა და ზავადამცავი გვირაბების გავლით არის დასაშვები. გზის დანარჩენ მონაკვეთში მოძრაობა დასაშვებია.

ამჟამად იმ გზის გამწვანდი სამუშაოები მიმდინარეობს.

მედიანიუსი

⊙ კვლევა

თუ გვსურს, ვიფოლოთ, ჩანი ვარდ ღა ჩანი ვიქნეგიოთ...

საჩუქრად პირველ ლედის – მოსახლეობის ვარიანტული პროგნოზი

